ნ.ხ-ის საქმე

სამართლებრივი შეფასება



საფარი
SAPARI

სარჩევი

შესავალი 3

დანაშაულის შემადგენლობა და სტანდარტები 4

„უმწეო მდგომარეობის“ ფარგლები 7

დაზარალებულის ჩვენების თანმიმდევრულობა 10

დასკვნა 12

შესავალი

2022 წლის ივლისში ნ.ხ-ის გაუპატიურების ბრალდებით სისხლის გამოძიება დაიწყო ნ.ხ-ის ოჯახის ახლობლის, ზ.ხ-ის მიმართ. პროკურატურა ზ.ხ-ს წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ გაუპატიურებას ედავებოდა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომ - სსკ) 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.[1]

2024 წლის 26 აგვისტოს, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ საქმეზე განაჩენი გამოიტანა და ზ.ხ უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დადასტურდა ზ.ხ-ის მიერ გაუპატიურების დანაშაულის ჩადენა - არასრულწლოვანი ნ.ხ-ის (17 წლის) სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულის კონტაქტი დაზარალებულთან, ვინაიდან ნ.ხ-ის ტანსაცმელზე აღმოჩენილ იქნა ბრალდებულის ბიოლოგიური მასალა - ბრალდებულის სპერმა, თუმცა გადაწყვიტა, რომ წარდგენილი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დადასტურდა გაუპატიურების შემადგენლობის ორი ძირითადი ნიშნის არსებობა - ქმედება - დაზარალებულის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა და ქმედების ჩადენის ხერხი - სექსუალური ხასიათის შეღწევა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. გადაწყვეტილებაში სასამართლოს მსჯელობა ძირითადად დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის ფაქტთან არსებული მტკიცებულებებისა და სხვა მოწმეთა ჩვენების თანმიმდევრულობის შეფასებას ემყარება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუპატიურების დანაშაულთან მიმართებით როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით საყურადღებო ასპექტებს შეიცავს, რომელთა ანალიზი ქვემოთ არის წარმოდგენილი.

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=267.

დანაშაულის შემადგენლობა და სტანდარტები

სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გაუპატიურება განმარტებულია როგორც პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. ამგვარად, სხეულში შეღწევა გაუპატიურების ერთ-ერთი ობიექტური ნიშანია, რომელსაც სექსუალური ხასიათი უნდა ჰქონდეს და ამგვარ ხასიათზე თავად ქმედება უნდა მეტყველებდეს.[2] გაუპატიურება შედეგიანი დელიქტია და მისი დასრულებისთვის აუცილებელია სხვის სხეულში შეღწევა, რაც დაკავშირებულია მძიმე შედეგთან - სხვისი სექსუალური ავტონომიის ხელყოფასთან.[3] 137-ე მუხლით გათვალისწინებული გაუპატიურების ჩადენის ხერხებია ძალადობა, ძალადობის მუქარა, დაზარალებულის უმწეობის გამოყენება.

გაუპატიურების მეორე ობიექტური ნიშანი, რაც სამწუხაროდ, სსკ-ის 137-ე მუხლში პირდაპირ მითითებული არ არის, სქესობრივ კავშირზე თანხმობის არარსებობაა. თანხმობის გარეშე პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა ქმნის გაუპატიურების დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო თანხმობა სქესობრივ კავშირზე, რომელიც გაუპატიურების შემადგენლობას გამორიცხავს, უნდა იყოს ნამდვილი და თავისუფალი ნების საფუძველზე გამოვლენილი.[4]

ისტორიულად გაუპატიურების დანაშაული სხვადასხვა ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში დაკავშირებული იყო ფიზიკურ ძალადობასთან, წინააღმდეგობასთან ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობასთან. გაუპატიურების ამგვარი მოდელი დანაშაულის დამფუძნებელ ნიშნად ძალადობას, დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის არსებობას ან წინააღმდეგობის გაწევის უნარის არარსებობას მოითხოვდა.

---

[2] Carol E. Tracy, Terry L. Fromson, *Rape and Sexual Assults in the Legal System*, June 5, 2012, pp. 16-17, available at https://www.womenslawproject.org/wp-content/uploads/2016/04/Rape-and-Sexual-Assault-in-the-Legal-System-FINAL.pdf.

[3] ბაჩანა ჯიშკარიანი, იზა კელენჯერიძე, თამარ გეგელია, *სქესობრივი დანაშაულები,* გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, გვ. 28.

[4] *M.C. v. Bulgaria*, Appl. No. 39272/98, Council of Europe: European Court of Human Rights, 3 December 2003, para. 163.

გაუპატიურების დანაშაულისადმი ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში და ევროპის ქვეყნების უდიდესმა ნაწილმა, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა არაერთმა ქვეყანამ, უარი თქვა გაუპატიურების დანაშაულის ვიწრო და მოძველებულ გაგებაზე. თანამედროვე გაგებით გაუპატიურების დამაფუძნებელ ობიექტურ ნიშნად სქესობრივ კავშირში მონაწილე პირთა თანხმობის საკითხი განისაზღვრა და დასაშვებ და აკრძალულ ქმედებას შორის ზღვრის გასავლებად სწორედ თანხმობის არსებობა/არარსებობის დადგენაა აუცილებელი.[5]

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ გაუპატიურების დანაშაულში თანხმობის მნიშვნელობა ჯერ კიდევ 2003 წელს განმარტა პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში M. C. ბულგარეთის წინააღმდეგ. სასამართლომ ბულგარეთის მხრიდან, რომელმაც გაუპატიურების საქმის წარმოება შეწყვიტა ძალადობის და მსხვერპლის მიერ წინააღმდეგობის გაწევის მტკიცებულებების არარსებობის გამო, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა დაადგინა.[6] სასამართლომ განმარტა, ქმედების გაუპატიურებად დასაკვალიფიცირებლად საკმარისი იყო სქესობრივ კავშირზე პირის თანხმობის არარსებობის დადგენა. როგორც სასამართლომ აღნიშნა, სქესობრივი დანაშაულის ყველა შემთხვევაში ფიზიკური წინააღმდეგობის მტკიცებულებების მოთხოვნა ქმნის რისკს, რომ გაუპატიურების ზოგიერთი შემთხვევა დაუსჯელი დარჩეს და შესაბამისად საფრთხეს უქმნის პირის სექსუალური ავტონომიის ეფექტურად დაცვას.[7] სასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის 3-ე და 8-ე მუხლების საფუძველზე წევრ სახელმწიფოებს დადებითი ვალდებულება აკისრიათ, უზრუნველყონ ნებისმიერი არანებაყოფლობითი სქესობრივი აქტის კრიმინალიზაცია და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა, თუნდაც მსხვერპლის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაში.[8]

ის, რომ ძალადობა ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობა არ არის გაუპატიურების დანაშაულის არსებითი ელემენტი, კიდევ უფრო ადრე იქნა აღიარებული საერთაშორისო სისხლის სამართალში. ყოფილი იუგოსლავიის დროებითმა ტრიბუნალმა საქმეში „პროკურორი კურანაჩის, კოვაჩის და ვუკოვიჩის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ სექსუალური ხასიათის შეღწევა მიიჩნევა გაუპატიურებად, თუ ის არ

[5] ჯიშკარიანი, კელენჯერიძე, გეგელია, სქოლიო 3, გვ 33.

[6] *M.C. v. Bulgaria,* para 167-187.

[7] Ibid, para.166.

[8] Ibid.

ხდება პირის თანხმობის საფუძველზე.[9] როგორც ტრიბუნალმა განმარტა, გაუპატიურება პირის სექსუალური ავტონომიის სერიოზულ გარღვევას წარმოადგენს, ხოლო, თავის მხრივ, სექსუალური ავტონომია ირღვევა მაშინ, როცა ადამიანი ექვემდებარება ისეთ აქტს, რომელსაც ის თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე არ დათანხმებია.[10] მსჯელობის საფუძველზე ტრიბუნალმა დაადგინა, რომ გაუპატიურების დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა (*actus reus*) ორი ელემენტისგან შედგება: 1) მსხვერპლის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა; 2) სექსუალური ხასიათის შეღწევა მსხვერპლის თანხმობის გარეშე. ტრიბუნალმა დამატებით განმარტა, რომ თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, რაც გარემომცველი პირობების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს.[11] რაც შეეხება გაუპატიურების დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას (*mens rea*), ტრიბუნალის განმარტებით, ეს უკანასკნელი სახეზეა მაშინ, როდესაც ქმედების ჩამდენისთვის ცნობილია, რომ სექსუალური ხასიათის შეღწევა მსხვერპლის თანხმობის გარეშე ხდება.[12]

გაუპატიურების დანაშაულისთვის ზემოაღნიშნულ სტანდარტს ადგენს ასევე ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2017 წელს მოახდინა. კონვენციის 36-ე მუხლის 1-ელი პუნქტით გაუპატიურება განმარტებულია როგორც სხვა ადამიანის სხეულში, **მისი თანხმობის გარეშე,** სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით.[13] ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.[14] აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფმა საქართველოს მიერ სტამბულის კონვენციის შესრულების შესახებ საბაზისო ანგარიშში საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, ცვლილებები შეიტანოს

[9] *Prosecutor vs. Dragoljub Kuranac, Radomir Kovac, and Zoran Vukovic*, International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia, 22 February, 2021, para. 440.

[10] *Prosecutor vs. Dragoljub Kuranac, Radomir Kovac, and Zoran Vukovic,* para. 557.

[11] Ibid, para. 460.

[12] Ibid.

[13] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 36 მუხლის 1-ელი პუნქტი, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

[14] იქვე, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ დებულებებში რომლებიც სქესობრივ დანაშაულებს, მათ შორის, გაუპატიურებას განმარტავს, შესაბამისობაში მოიყვანოს ისინი სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლთან და ამგვარად თავისუფალი ნებით გამოვლენილი თანხმობის არარსებობა ამ დანაშაულების აუცილებელ ელემენტად აქციოს. ამასთან, უზრუნველყოს ამ დებულებების ეფექტურად გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს მიერ.[15]

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს 1979 წლის გაეროს კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა. მართალია უშუალოდ კონვენცია სქესობრივ დანაშაულებზე არ არის კონცენტრირებული, თუმცა კრძალავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას სხვადასხვა სფეროში. როგორც გაეროს ქალთა უფლებების კომიტეტმა მის გენერალურ რეკომენდაციაში განმარტა, კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა ქალთა დასაცავად ძალადობისგან, მათ შორის სექსუალური ძალადობისგან.[16] ქალთა უფლებების კომიტეტმა მის შემაჯამებელ დასკვნაში საქართველოს მეექვსე პერიოდულ ანგარიშზე ქვეყანას მოუწოდა, გააძლიეროს ძალისხმევა, რათა ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს კომიტეტის რეკომენდაციებთან და შეუსაბამოს იგი სტამბოლის კონვენციას, კერძოდ, შეცვალოს სისხლის სამართლის კოდექსი, რათა გაუპატიურების დანაშაულის განმარტება თანხმობის არარსებობას დაეფუძნოს.[17]

„უმწეო მდგომარეობის" ფარგლები

როგორც ზემოთ, აღინიშნა, სსკ-ის 137 მუხლით განსაზღვრულ გაუპატიურების დეფინიციაში სქესობრივ აქტში მონაწილე პირის თანხმობის არარსებობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტურ ნიშნად. ამასთან, ქვეყანაში დამკვიდრებული სამოსამართლო პრაქტიკით გაუპატიურება საკმაოდ ვიწროდ

[15] Group of Experts on Action againts Violence againts Women and Domestic Violence (GREVIO), *Baseline Evaluation Report on Georgia*, October 2022, para. 261, available at: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa

[16] CEDAW General Recommendation No. 19: *Violence against Women,* Adopted at the Eleventh Session of the Committee on the Elimination of Discrimination against Women, 1992 (Contained in Document A/47/38).

[17] Committee on the Elimination of Discrimination against Women, *Concluding observations on the sixth periodic report of Georgia*, 2 March 2023, p. 9.

განიმარტება და ძირითად შემთხვევებში, გაუპატიურების დასადგენად მოსამართლე ძალადობას, დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას ან დაზარალებულის „უმწეო მდგომარეობას“ მოითხოვს. თავის მხრივ, „უმწეო მდგომარეობა“ სასამართლო პრაქტიკაში ასევე ვიწროდ განიმარტება.

განსახილველ საქმეში ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ სწორედ რომ ვიწროდ განმარტა სსკ-ის 137 მუხლით გათვალისწინებული გაუპატიურების დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში გაუპატიურების დანაშაულის დასადგენად აუცილებელი იყო ორი ელემენტის არსებობა - ქმედება - დაზარალებულის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა და მისი ჩადენის ხერხი - ქმედების ჩადენა უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის სექსუალური ხასიათის კონტაქტი არ უარყო, მან მსჯელობის მიღმა დატოვა დაზარალებულის მხრიდან სქესობრივ აქტში მონაწილეობის თაობაზე თანხმობის გაცემის საკითხი. ამგვარად, სასამართლომ ისე, რომ ოდნავადაც არ გაუმახვილებია ყურადღება გაუპატიურების დამფუძნებელ ელემენტზე - დაზარალებულის თანხმობაზე, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კონტაქტი ნებაყოფლობითად მიიჩნია.

ის ფაქტი რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული გაუპატიურების დანაშაულის დისპოზიცია სრულად არ არის სტამბოლის კონვენციის შესაბამისი და პირდაპირ არ ითვალისწინებს დაზარალებულის თანხმობის არარსებობას დანაშაულის შემადგენლობის ელემენტად, ერთი მხრივ, პრობლემაა და საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან ჩარევას საჭიროებს. თუმცა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო პრაქტიკაში თანხმობის არარსებობა და არა ძალადობა ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობა იქნას დანახული გაუპატიურების დანაშაულის არსებით ელემენტად.[18] ამგვარი მიდგომით შესაძლებელი იქნება კანონში ცვლილების შეტანამდე საკანონმდებლო ვაკუუმი სასამართლო პრაქტიკით შეივსოს და დაუსჯელი არ დარჩეს გაუპატიურების ის შემთხვევები, რომლებიც, შესაძლოა, ამ დანაშაულის ვიწრო განმარტების მიღმა ექცეოდეს.

აღსანიშნავია, რომ გაუპატიურების სტამბოლის კონვენციის შესაბამისად განმარტების ვალებულებას არაპირდაპირ ასევე აწესებს მოქმედი კანონი „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, რომლის თანახმადაც, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას,

[18] *M.C. vs. Bulgaria,* para. *159.*

კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.[19] ამგვარად, არსებული რეგულირებით სტამბოლის კონვენციას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ეროვნული ნორმატიული აქტის მიმართ და სასამართლოს ევალება, რომ გაითვალისწინოს გაუპატიურების კონვენციური განმარტება და ეროვნული სისხლის სამართლის კანონი ისე განმატოს, რომ ის თანხვედრაში იყოს კონვენციის მიზნებთან და სულისკვეთებასთან.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოცემულ საქმეში ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ უარი თქვა მოძველებული პრაქტიკისგან განსხვავებული მიდგომა გამოეყენებინა და გაუპატიურების დანაშაული სტამბოლის კონვენციის შესაბამისად განემარტა. სასამართლომ ისე, რომ არ დაუდგენია, თანახმა იყო თუ არა დაზარალებული ბრალდებულთან სქესობრივ კავშირზე, გაუპატიურების გზით ნ.ხ-ის სექსუალური ავტონომიის შეზღუდვის ფაქტი გამორიცხა და ბრალდებული უდანაშაულოდ გამოაცხადა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის შეფასება. სასამართლომ იმ მოტივაციით, რომ დაზარალებულის მიერ სასმლის მიღებიდან ბრალად წარდგენილი ქმედების სავარაუდოდ განხორციელებამდე გასული იყო დაახლოებით 9 საათი და დედის ჩვენებით მას დასაძინებლად წასვლისას საფრთხის შემცველი მდგომარეობა არ აღენიშნებოდა, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობა მის სხეულში სავარაუდო სექსუალური ხასიათის შეღწევის დროს. აღსანიშნავია, რომ განსახილველ გადაწყვეტილებაში სასამართლო უმწეო მდგომარეობას ვიწროდ განმარტავს და გულისხმობს დაზარალებულის ისეთ მდგომარეობას, როდესაც მას სრულად შეზღუდული აქვს წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

საყურადღებოა, რომ მოცემულ საქმეში დაზარალებული არის 17 წლის გოგონა, რომელიც, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ალკოჰოლის მიღების შედეგად ცუდად გახდა, ორჯერ აღებინა და შეუძლო მდგომარეობის გამო საღამოს 8 საათის შემდეგ დასაძინებლად დაწვა. ამ ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა კი არ გამორიცხავს, რომ დაზარალებული განიცდიდა ალკოჰოლურ ინტოქსიკაციას, რა დროსაც შესაძლოა სრულად არ ჰქონდა გონება დაკარგული, თუმცა შესუსტებული ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

[19] საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, მუხლი 6.2, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33442?publication=17.

უმწეო მდგომარეობის ფართო გაგება გაუპატიურების დანაშაულის მიზნებისთვის დაზარალებულის უმწეო მდგომარეობად მოიაზრებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ამ უკანასკნელს ალკოჰოლური ინტოქსიკაციის გამო ნაწილობრივ შესუსტებული აქვს წინააღმდეგობის გაწევის უნარი.[20] თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დაზარალებული არასრულწლოვანი იყო, რომელზეც ალკოჰოლის ეფექტი მნიშვნელოვნად განსხვავდება სრულწლოვან პირზე ალკოჰოლის ეფექტისგან, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას, დიდი ალბათობით, შესუსტებული ჰქონდა ბრალდებულისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

სამწუხაროდ, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ზემოაღნიშნული გარემოებები ყურადღების მიღმა დატოვა და ერთმნიშვნელოვნად გამორიცხა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში ყოფნის შესაძლებლობა მის სხეულში სავარაუდო სექსუალური ხასიათის შეღწევის დროს. მსგავსი მიდგომით სასამართლომ შექმნა რისკი იმისა, რომ დაუსჯელი დარჩეს არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილი გაუპატიურების დანაშაული, რომელიც განსაკუთრებით მატრავმირებელია ჯერ კიდევ ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების ეტაპზე მყოფი 17 წლის გოგონასთვის.

დაზარალებულის ჩვენების თანმიმდევრულობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, განსახილველ საქმეში გაუპატიურების მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტებთან ერთად საყურადღებოა მისი ფორმალურ-სამართლებრივი ასპექტებიც. კერძოდ, პრობლემურია ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება დაზარალებულის ჩვენების არათანმიმდევრულობაზე.

სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ ნ.ხ-მ სასამართლოში ჩვენების მიცემისას მიუთითა ისეთ გარემოებაზე, რომლის თაობაზეც მას გამოძიების ეტაპზე არ ჰქონდა აღნიშნული და ამიტომ დაზარალებულის ჩვენებას არათანმიმდევრულად მიიჩნევს. ასეთი მიდგომა პრობლემურია, რადგან გაუპატიურების საქმეზე დაზარალებულის ჩვენების შეფასება სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს.[21] მეცნიერულად დადგენილია, რომ გაუპატიურების მსხვერპლის აღქმები დროთა განმავლობაში იცვლება, რაც გამოწვეულია მასზე მიყენებული ტრავმის ეფექტის

[20] Deborah Tuerkheimer, *Affirmative Consent* in Ohio State Journal of Criminal Law, 13, December 31, 2015, p. 457.

[21] ჯიშკარიანი, კელენჯერიძე, გეგელია, სქოლიო 3, გვ. 36.

ცვალებადობით. გაუპატიურების მსხვერპლის ადრეულ ჩვენებაში აღწერილი მოვლენები შესაძლოა განსხვავდებოდეს მოგვიანებით მიცემულ ჩვენებაში აღწერილი მოვლენებისგან, რადგან ტრავმის შედეგად ორგანიზმში გამოყოფილი ბუნებრივი ოპიატები მის აღქმებზე მომადუნებელი ეფექტის მქონეა და ხელს უშლის მოვლენების სრულფასოვნად და თანმიმდევრულად გადმოცემას.[22] დროის გასვლასთან ერთად კი ეს ეფექტი ძალას კარგავს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სქესობრივი დანაშაულების შემთხვევებში დაზარალებულის ჩვენების შეფასებისას სასამართლომ გაითვალისწინოს მისი ფსიქოტრავმული მდგომარეობა და დაზარალებულის ჩვენების სარწმუნოობა არ გამორიცხოს მხოლოდ იმის გამო, რომ ის ისეთ დეტალს შეიცავს, რომლის თაობაზეც დაზარალებულს უფრო ადრეულ ჩვენებაში არ აღუნიშნავს.

განსახილველ გადაწყვეტილებაში ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ, რომელმაც გამორიცხა ბრალდებულის პასუხისმგებლობა გაუპატიურების დანაშაულისთვის, არ იმსჯელა დაზარალებულის მოტივზე, რის გამოც, შესაძლოა მას ბრალდებულისთვის დანაშაულის ჩადენა დაებრალებინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაუპატიურების დანაშაულზე მსჯელობისას განმარტა, რომ ასეთი კატეგორიის საქმეებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მოტივის არარსებობა, რამაც სასამართლოს შესაძლებელია აფიქრებინოს დაზარალებულის მიკერძოებულობის შესახებ ბრალდებულის საწინააღმდეგოდ.[23] განსახილველი საქმის გარემოებების მიხედვით ზ.ხ იყო ნ.ხ-ის ოჯახის ახლობელი, მისი ძმის ახლო მეგობარი, რომელსაც დაზარალებული ბავშვობიდან იცნობდა და მასთან და-ძმური ურთიერთობა ჰქონდა. ამასთან, არ გამოკვეთილა არც ერთი სხვა ისეთი გარემოება, რომელიც სასამართლოს აფიქრებინებდა, რომ ნ.ხ მიკერძოებული იყო ზ.ხ-ის მიმართ და ამიტომ აბრალებდა მას გაუპატიურებას. სამწუხაროდ, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული გარემოებები უგულებელყო და ისე გაამართლა ბრალდებული, რომ არც უმსჯელია იმაზე თუ რა მოტივი ამოძრავებდა ნ.ხ-ს, რომელიც, სასამართლოს შეფასებით, მისი ოჯახის ახლობელს გაუპატიურებას აბრალებდა.

---

[22] Deborah Smith, What Judges Need to Know About Neurobiology of Sexual Assault, 2017, available at https://ncsc.contentdm.oclc.org/digital/collection/criminal/id/294.

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, საქმე No253ა3-15, 9 ნოემბერი, 2015 წელი, პარაგრაფი 3.

დასკვნა

ამგვარად, ნ.ხ-ის საქმემ საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები წარმოაჩინა გაუპატიურების სამართლებრივი რეგულირებასა და მისი სასამართლო პრაქტიკაში განმარტების თვალსაზრისით. მოცემულ საქმეში, მიუხედავად ბიოლოგიური მტკიცებულების არსებობისა, სასამართლომ ვიწროდ განმარტა კანონი და უგულებელყო დაზარალებულის თანხმობის არარსებობა, რომელიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით გაუპატიურების განმსაზღვრელი მთავარი ელემენტია. სასამართლომ ასევე ვიწროდ განმარტა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობა, არ შეაფასა მის ჩვენებაზე ფსიქოტრავმული ფაქტორების გავლენა და ბრალეული ქმედების ჩადენა გამორიცხა. ეს საქმე კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა სტამბოლის კონვენციასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას სქესობრივი დანაშაულების სათანადო სამართლებრივი შეფასება და მსხვერპლთა ეფექტიანი დაცვა.